## მისამართი:

განაცხადის შევსება შესაძლებელია მთელი წლის განმავლობაში და ოჯახის წარმომადგენელი ზემოაღნიშნული საბუთებით უნდა გამოცხადდეს შემდეგ მისამართებზე:

1. ქ. თბილისი - თამარაშვილის 15ა (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო);

2. ქ. ზუგდიდი - რუსთაველის N87; (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს რეგიონალური სამმართველო);

3. ქ. ქუთაისი - ირაკლი აბაშიძის N27; (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს რეგიონალური სამმართველო).

4. ქ. ბათუმი - მ. კომახიძის N119; (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო).

**დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ ცხელ ხაზზე: +995 32 243-11-00**

# სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებულ დაქვემდებარებული ოჯახების განაცხადების მიღების, შერჩევა/შეფასებისა და განსახლების პროცედურები

## ეკო მიგრაცია

**დიალოგი და თანამშრომლობა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ცხოვრების დონის გაუმჯობესებისათვის**

CENN
Caucasus Environmental NGO Netwo

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის N 779 ბრძანება განსაზღვრავს სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების დაზარალების კატეგორიას, განაცხადების მიღების, შერჩევა/შეფასებისა და განსახლების კრიტერიუმებს, კერძოდ:

## დაზარალების კატეგორია:

**I კატეგორია** - სახლი ან მისი ნაწილი დანგრეულია ან დაზიანებულია (საცხოვრებლად უვარგისია) ნებისმიერი სტიქიური მოვლენით (მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავი, ქვათაცვენა, მდინარის ნაპირების გარეცხვა, თოვლის ზვავი), გარდა მიწისძვრისა და ვულკანისა და არ ექვემდებარება აღდგენას.

**II კატეგორია** - სახლი არ არის დანგრეული, მაგრამ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სტიქიური მოვლენები (მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავი, ქვათაცვენა, მდინარის ნაპირების გარეცხვა, თოვლის ზვავი), გარდა მიწისძვრისა და ვულკანისა, საფრთხეს უქმნის იქ მცხოვრებ ადამიანთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და მათ საკუთრებაში არსებულ ქონებას.

## შესაბამის ქულას ანიჭებს:

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო.

## დაზარალების კატეგორიას ადგენს:

ადგილობრივი მუნიციპალიტეტი.

## შერჩევისა და შეფასების კრიტერიუმები:

1. დაზარალების კატეგორია;
2. სოციალური კრიტერიუმები:
   - სოციალურ პროგრამაში მონაწილეობა;
   - ოჯახში არასრულწლოვანთა რაოდენობა;
   - ფორმა N IV-100/ა საფუძველზე მუდმივად მწოლიარე ოჯახის წევრის, ან ფორმა N50/2-ის საფუძველზე ონკოლოგიური დაავადების მქონე ოჯახის წევრი;
   - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი;
   - მარტოხელა ან მეურვე;
   - თუ ოჯახის შემადგენლობის ნახევარზე მეტი შედგება ასაკით პენსიონრებისაგან;
   - ოჯახის სულადობა;
   - ალტერნატიული საცხოვრებელი სახლის არსებობა/არარსებობა.

## განაცხადების მიღება

დაზარალებულმა ოჯახმა განაცხადის შესავსებად უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

1. განმცხადებლისა და მისი ოჯახის წევრების პირადობის დამადასტურებელი მოწმობები;
2. ოჯახის არასრულწლოვანი წევრების დაბადების მოწმობები;
3. ამონაწერი სოციალურად დაუცველთა ერთიანი ბაზიდან (თუ სოციალური სააგენტოს მიერ მინიჭებული ქულა არ აღემატება 57001-ს);
4. სამედიცინო დოკუმენტი ფორმა NIV-100/ა (თუ ოჯახის წევრი ან წევრები არიან მუდმივად მწოლიარე, ან აქვს დარღვეული ფსიქიკური ფუნქცია;), ასევე ფორმა N50/2 (თუ ოჯახის წევრი ან წევრები არიან ონკოლოგიური დაავადების მქონე).
5. სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული სამედიცინო-საექსპერტიზო შემოწმების აქტი (თუ ოჯახის წევრი ან წევრები არიან მკვეთრად, მნიშვნელოვნად ან ზომიერად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვის პირები);
6. მეუღლის გარდაცვალების მოწმობა, ბავშვების დაბადების მოწმობა და სხვა შესაბამისი დოკუმენტაცია (თუ მშობელი ან ქვრივი მარტო ზრუნავს მცირეწლოვან შვილზე ან შვილებზე);
7. მეურვეობის/მზრუნველობის დამადასტურებელი დოკუმენტი და სხვა (თუ ხანდაზმულები ახორციელებენ მეურვეობას ან მზრუნველობას არასრულწლოვანი შვილ(ებ)ის ან შვილიშვილ(ებ)ის მიმართ);

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განსახლება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიღებული განაცხადების შესაბამისად, წინასწარი შეფასების მასალები წარედგინება განსახლების საკითხების მარეგულირებელ კომისიას, რომლის საბოლოო გადაწყვეტილების საფუძველზე შერჩეულ ოჯახს ეძლევა საშუალება, საქართველოს ტერიტორიაზე მისთვის საცხოვრებლად სასურველ ადგილზე მოიძიოს საცხოვრებელი სახლი 20 000 ლარის ფარგლებში და წარუდგინოს სამინისტროს შესასყიდად.

სამინისტრო ბენეფიციარის მიერ მოძიებულ სახლს აგზავნის "ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში" მოძიებული სახლის საბაზრო ღირებულებისა და ტექნიკური მდგრადობის დასადგენად.

მიღებული დასკვნების საფუძველზე სამინისტრო იწყებს შესყიდვისა და ბენეფიციარისათვის შესყიდული სახლის გადაცემის პროცედურას.

** თუ სახლის ღირებულება აღემატება 20 000 ლარს, ბენეფიციარს ეძლევა საშუალება სახლის შესყიდვა მოხდეს თანადაფინანსების პრინციპით.*